ჰუნები და გერმანელები

მოამზადა ლევან ახლედიანმა

დავალება: *აქტივობაში მოცემულია ორი რომაელი მემატიანის თხზულებიდან ამონარიდები, რომლებიც გერმანულ ტომებსა და ჰუნებს ეხება. მოსწავლეები დაკვირვებით უნდა გაეცნონ წყაროებს და შეადარონ ეს ხალხები ერთმანეთს. შედარება უნდა მოხდეს ქვემოთ ცხრილში მოცემული პარამეტრების მიხედვით. დავალების დასრულების შემდეგ, კლასში იმართება დისკუსია.*

პუბლიუს კორნელიუს ტაციტუსი ძველი გერმანელების შესახებ

... და თუმცა მათი ქვეყანა თავისი სახით მრავალფეროვანია, საერთოდ იგი წარმოადგენს ან საშინელ ტყეს, ან საზიზღარ ჭაობს... დასათესად იგი ნაყოფიერია, მაგრამ არ ვარგა ხე-ხილის მოსაშენებლად; მდიდარია პირუტყვით, რომელიც უმეტესად პატარა ტანისაა; თვით მუშა პირუტყვსაც კი არ გააჩნია შთამბეჭდავი შესახედაობა და რქებითაც კი არ შეუძლია დაიტრაბახოს. გერმანელებს უყვართ, რომ პირუტყვი დიდი რაოდენობით ჰყავდეთ: ესაა მათი ყველაზე დიდი და სასიამოვნო სიმდიდრის სახეობა. ღმერთმა მათ უარი უთხრა ოქროსა და ვერცხლზე... თუმცა გერმანელებს არც აქვთ მისწრაფება ფლობდნენ (ძვირფას ლითონებს), და იყენებდნენ მათ (როგორც სხვა ხალხები); მათთან შეიძლება ნახოთ მათი ელჩებისა და უხუცესებისათვის ნაჩუქარი ვერცხლის ჭურჭელი, რომელსაც ისევე უდიერად ექცევიან, როგორც თიხის ჭურჭელს. თუმცა უახლოესი (რაინთან და დუნაისთან) ტომები აფასებენ ოქროსა და ვერცხლს მხოლოდ იმისათვის, რომ ივაჭრონ; ქვეყნის შიგნით მცხოვრებნი კი მისდევენ ვაჭრობის უფრო ძველ ფორმას, (სახელდობრ) გაცვლითს. მონეტებიდან ისინი აფასებენ ძველსა და დიდი ხნით ცნობილს - სერატებსა და ბიგატებს[1]. საერთოდ მათ უფრო ვერცხლი ურჩევნიათ, ვიდრე ოქრო, არა იმიტომ რომ იგი არ უყვართ, არამედ იმიტომ, რომ ჩვეულებრივი და უბრალო საქონლით ვაჭრობის დროს უფრო მოსახერხებელია ვერცხლის მონეტების ქონა.

... რკინა ასევე ცოტა აქვთ, რის შესახებ მსჯელობაც მათი საბრძოლო იარაღით შეიძლება; ისინი იშვიათად სარგებლობენ ხმლებითა და გრძელი შუბებით, უმეტესად იბრძვიან ხელკეტებით, ანუ როგორც ისინი მათ უწოდებენ, ფრამეებით, რომლებიც მთავრდება რკინის მოკლე წვერით - იმდენად ალესილი და მოხერხებული იარაღით, რომ ერთი და იგივე კეტებით ისინი იბრძვიან ხელჩართულ ბრძოლაში და შორ დისტანციაზე.

[1] რომაული ვერცხლის მონეტები ნაჭდევებით და მათზე ცხენიანი ეტლების გამოსახულებით.

მხედრებიც კი კმაყოფილდებიან ამ ფრამეით და ფარით, ქვეითები კი სარგებლობენ შუბებითაც, რომლებიც რამდენიმე ცალი აქვთ. ისინი შიშვლები არიან ან აცვიათ მოკლე ქურთუკები, შუბებს კი საკმაოდ შორ მანძილზე ტყორცნიან. გერმანელები სულაც არ იწონებენ თავს თავისი დიდებული იარაღით, მხოლოდ ფარებს ღებავენ განსაკუთრებული ფერებით. ზოგიერთებს გააჩნიათ აბჯარი, ხოლო მუზარადი - რკინისა თუ ტყავისა, თითო-ოროლას თუ ექნება. მათი ცხენები არ გამოირჩევიან არც გარეგნული სილამაზით და არც სისწრაფით... საერთოდ ისინი თვლიან, რომ ქვეითები უფრო ძლიერები არიან ცხენოსნებზე და ამიტომაც შერეულები იბრძვიან - ცხენოსნები ქვეითებთან ერთად... გერმანელთა საბრძოლო წყობა სოლისებურია...

ამიანე მარცელინი ჰუნების შესახებ

ჰუნების ტომები, რომელთა შესახებაც ძველმა მწერლებმა ძალიან ცოტა რამ იციან, ცხოვრობენ მეოტიის ზღვის[2] ჭაობებს გადაღმა ყინულოვანი ოკეანის მხარეს და ველურობით ყოველგვარ ზღვარს აჭარბებენ...

ამდენი ველურობის გამო ისინი ისე არიან გაკაჟებულნი, რომ არ სჭირდებათ არც ცეცხლი და არც ადამიანისათვის შესაფერისი საკვები. ისინი იკვებებიან ველური მცენარეების ფესვებით და ყოველგვარი ცხოველის ნახევრად უმი ხორცით, რომელსაც ათავსებენ ცხენებზე უნაგირის ქვეშ, რათა ოდნავ დარბილდეს.

ჰუნები არასოდეს აფარებენ თავს რაიმე ნაგებობასაც კი და პირიქით, თავს არიდებენ მათ, თითქოს ისინი აკლდამებს წარმოადგენდნენ. მათთან ლერწმით გადახურულ ქოხსაც კი ვერ შეხვდებით. ისინი მომთაბარაობენ მთებსა და ტყეებში და აკვნიდანვე ეჩვევიან სიცივის, შიმშილისა და წყურვილის გადატანას. უცხოეთში მყოფნიც კი იშვიათად შედიან სახურავქვეშ, მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში, რადგან სახურავის ქვეშ თავი დაცულად არ მიაჩნიათ... სხეული დაფარული აქვთ ქერელის ან ტყის თაგვების ტყავისაგან შეკერილი ტანსაცმლით. ჰუნები არ განასხვავებენ საშინაო და საგარეო ტანისამოსს - ერთხელ და სამუდამოდ ჩაცმულს ატარებენ მანამ, ვიდრე ტანზე ნაფლეთებად არ ექცევათ.

თავზე ახურავთ დაბრეცილი ქუდები, ხოლო ბანჯგვლიან ფეხებზე შემოხვეული აქვთ თხის ტყავი. ფეხსაცმელი, რომელსაც ისინი ატარებენ უხეშია და აძნელებს ნაბიჯის გადადგმას. ამიტომაც ეს ფეხსაცმელი არ გამოდგება ქვეითად ბრძოლის დროს. სამაგიეროდ, ჰუნები, თითქოს ცხენებზე ამოსულები, არიან გამძლენი, მაგრამ საზიზღარი შესახედაობის, სხედან რა ცხენებზე ქალური მანერით, ასრულებენ თავიანთ ჩვეულ საქმიანობას. ისინი დღესა და ღამეს ატარებენ ცხენზე, ყიდიან თუ ყიდულობენ რამეს, ჭამენ თუ სვამენ, ცხენის კისერზე დამხობილთ ისე მაგრად სძინავთ, რომ სიზმრებსაც კი ნახულობენ. როდესაც თათბირობენ სერიოზულ საქმეებზე, თათბირებს ცხენზე მსხდომნი ატარებენ. ჰუნები არ ცნობენ მეფის ხელისუფლებას, მაგრამ ვინმეს უმნიშვნელო წინამძღოლობითაც კი ანადგურებენ ყველაფერს, რაც კი გზაზე შეხვდებათ. ზოგჯერ, ვინმეს მიერ შეურაცხყოფილნი ებმებიან ბრძოლაში. ბრძოლაში შედიან სოლისებურად და საშინელი ყვირილის ხმას

[2] აზოვის ზღვა

გამოსცემენ. მსუბუქნი და მოძრავნი, ეს მომთაბარეები განგებ იფანტებიან, არ ეწყობიან საბრძოლო რიგებად, თავს ესხმიან მოწინააღმდეგეს ჯგუფებად და საშინელ სიკვდილს თესენ. დიდი სისწრაფის გამო, არავის უნახავს, რომ მათ იერიშით აეღოთ მოწინააღმდეგის სიმაგრეები ან გაეძარცვოთ მოწინააღმდეგის ბანაკი.

ისინი იმსახურებენ, რომ უწოდონ დახელოვნებული ჩხუბისთავები, რადგან შორიდან იბრძვიან ისრებით, რომლებსაც ოსტატურად წამახვილებული ძვლის წვერები აქვს, ხოლო ხელჩართულ ბრძოლაში იბრძვიან გასაოცარი სიმამაცით და მოწინააღმდეგეს ქამანდს ჩამოაცმევენ ხოლმე, რათა იგი ან ცხენიდან ჩამოაგდონ, ან არ მისცენ გაქცევის საშუალება.

ჰუნები - გაურკვეველი ადგილმდებარეობის მქონე, უსახლკარო ხალხი, რომელსაც არ გააჩნია არც კანონები და არც ცხოვრების მდგრადი წესები. ჰუნები, თითქოს სამუდამოდ ლტოლვილნი, თექიან ურმებში ატარებენ მთელ დროს. აქ ცოლები მათთვის ამზადებენ საცოდავ სამოსს, აქვე წვებიან ქმრებთან, მშობიარობენ, ზრდიან შვილებს ყმაწვილკაცობამდე. მათგან ვერავინ გასცემს პასუხს კითხვას - თუ სადაურია იგი, რადგან ჩაისახა ერთ ადგილას, დაიბადა იმ ადგილიდან ძალიან შორს, გაიზარდა კიდევ უფრო შორს.

პარამეტრები	**გერმანელები**	**ჰუნები**
საცხოვრებელი გეოგრაფიული გარემო		
დამოკიდებულება სიმდიდრის მიმართ		
საცხოვრებელი სახლები (გარემო)		
სოფლის მეურნეობა		
კვება		
ხელოსნობა		
სოციალური ურთიერთობა		
შეიარაღება		
საბრძოლო ტაქტიკა		
ჩაცმულობა		